№9 (164) 10 მარტი, 2000 წ    პარასკევის გამოშვება    30 თეთრი

# ფანტაზია 2000



როგორც გინდათ თქვით და, ამ (...ჩვენს ხელთ საჯიჯგნად და საპარტახებლად ჩავდებულ...) ბუნებასა და სიცოცხლეში გაზაფხულზე დიდი მშვენიერება არ არსებობს. დადგება ხოლმე ეს დალოცვილი „გამოღვიძება" და ადამიანიც —

# საგაზაფხულო ღიმილი

თავი რომ კიტრად მოაქვს ამ დედამიწაზე — ისეთივე ინსტინქტებს ემორჩილება, როგორც რომელიმე ჭია ან თუნდაც ლუა. ამიტომაცაა, რომ (...ცნობიერად თუ ქვეცნობიერად...) ეს ჩვენი გაზეთიც „კიტრის სინდრომით" ავადდება ხოლმე და ახალი გზების ძიებას იწყებს. ჰოდა, რაკილა ღმერთმა კიდევ ერთ გაზაფხულს დავვასწრო (...ჩვენც. თქვენც და ისინიც!), „ფანტაზიას" ისღა დარჩენია მოგილოცოთ ეს ფაქტი და ჩვენი საერთო ღიმილის, გონიერებისა და სიმშვიდის მოძიებაში თავისი პატარა, მაგრამ აუცილებელი, წვლილი შეიტანოს.

ღმერთმა მრავალ გაზაფხულს დაგასწროთ!

## საკროსვორდო განწყობისათვის ანუ სკანდინავიური მინიატურა




დღევანდელ ნომერში შეგიძლიათ წაიკითხოთ (...და ამოხსნათ!)

— შიშის მაესტრო! (მე-3 გვერდი)

— ორფეriანი ნონოგრამა (მე-3 გვერდი)

— ლუდოვიკო XIV-ის დამსხვრეული სარკე (მე-13 გვერდი)

— ორი „რუსის" ფოტორობოტი (მე-14 გვერდი)

— სიბრძე საცეკვაო დარბაზში ანუ ...აფორიზმები ხელოვნებასა და კულტურაზე (მე-16 გვერდი)

— და სხვა მრავალი!

# რეიტინგი

## პასუხები მე-9 გვერდზე



| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 8 | | 15 | | 22 | | 29 | |
| 2 | | 9 | | 16 | | 23 | | 30 | |
| 3 | | 10 | | 17 | | 24 | | 31 | |
| 4 | | 11 | | 18 | | 25 | | 32 | |
| 5 | | 12 | | 19 | | 26 | | 33 | |
| 6 | | 13 | | 20 | | 27 | | 34 | |
| 7 | | 14 | | 21 | | 28 | | | |

**02-30 ქულა** - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება

**31-70 ქულა** - მე-2 თანრიგი

**71-110 ქულა** - 1-ლი თანრიგი

**111-140 ქულა** - ოსტატი

**141-180 ქულა** - დიდოსტატი

**181-190 ქულა** - ბრავო, მაესტრო!

**192 ქულა** - კრისყორდი თქვენ შეადგინეთ?!

## IQ ტესტი

(ერთი სწორი პასუხი ერთი ქულაა)

1) ჩასვით გამოტოვებული ფიგურა



2) ფრჩხილებში ჩასვით სიტყვა, რომელიც პირველი სიტყვის დასასრული იქნებოდა და მეორე სიტყვის დასასრული

აელა (. . . .) ტონი

3) ამოხსენით ანაგრამები და გამორიცხეთ ზედმეტი სიტყვა

1. მოლი. 2. თვადი.
3. ლემგი. 4. ვარცხი.

4) ჩასვით გამოტოვებული რიცხვი



5) ჩასვით გამოტოვებული სიტყვა

მაღარო (ლამე) სამება

ხალათი (....) კორიფე

6) ჩასვით გამოტოვებული რიცხვი

196 (25) 324

325 ( ) 137

7) გააგრძელეთ რიცხვების მწკრივი

18 10 6 4 ....

8) ამოხსენით ანაგრამები და გამორიცხეთ ზედმეტი სიტყვა

1. ვითა. 2. ხილე.
3. ვილთა. 4. ძონგბრა.

9) ჩასვით გამოტოვებული ფიგურა:





10) ამოხსენით ანაგრამები და გამორიცხეთ ზედმეტი სიტყვა

1. სხემი. 2. ლეტრემევი.
3. ნიაფიყი. 4. არქოქი.

*შედეგები და პასუხები მე-8 გვერდზეა*

1. ასე ეთქვათ, თანამოსაქმე, ანუ ვინ? (**5**). 2. მომავალი თაობის მოსპობის ნებაყოფლობითი ქმედება (**4**). 3. თქვენი საყვარელი რუბრიკა ჩვენს გაზეთში (**2**). 4. ყოველი კინოფოტოაპარატისათვის საჭირო ოპტიკური მინა (**5**). 5. ქალალდის ან ქსოვილის ნაჭრებით შექმნილი ნახატი ან ორნამენტი (**7**). 6. ავტონომიური ოლქი ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილში (**8**). 7. ყოველი (ნიჭიერი) მსახიობისათვის აუცილებელი უნარი თუ თვისება (**6**). 8. ასეთი წამოსასხამია ერთგვარი (**6**). 9. საჭიდაო ტერმინი, რაც ერთ-ერთი მოწინაალმდევის პასიურ პოზიციაში ჩაყენებას გულისხმობს (**6**). 10. არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების ცნობილი კაპიტანი 1978 წელს (**8**). 11. სულების არსებობასთან დაკავშირებული ერთგვარი მისტიური რწმენა (**7**). 12. XIX საუკუნის ინგლისელი მწერალი, ავტორი ბლაპრისა „ვარსკვლავთბიჭუნა" (**6**). 13. შტატი აშშ-ს ჩრდილოეთ ნაწილში (**7**). 14. ერთ-ერთი ფიზიკოსი, რომლის გვარი ფორმულაში სამარადისოდ დაფიქსირდა (**6**). 15. 30-იანი წლების დიდი ფინელი მძლეოსანი, რომელსაც მშობლიურმა ქვეყანამ სტადიონზე ძეგლი დაუდგა (**10**). 16. პირობითი ნიშანთა ერთგვარი ნიმუში (**8**). 17. სახელმწიფოს ძირითადი კანონი (**3**). 18. როგორი ანტენები იჭერენ თანამგზავრულ გადაცემებს? (**7**). 19. სულხან-საბასეული მაოხრებელი პერსონაჟი (**4**). 20. ალპინისტის ოცნება (**3**). 21. მხოლოდ იაპონიაში გავრცელებული რელიგია (**8**). 22. პრესაში და ტელევიზიაში გავრცელებული ერთ-ერთი პოპულარული ჟანრი (**4**). 23. ალპინისტის სამუშაო ინვენტარი (**5**). 24. მიხეილ ჯავახიშვილსეული „სიძე" პერსონაჟი (**5**). 25. მცირე ფორმის ბეჭდვითი პროდუქცია (**5**). 26. სახელი გარლ გუცკოვის ცნობილი ტრაგედიის მთავარი პერსონაჟისა (**7**). 27. მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი სახელმწიფო (**5**). 28. დიდი ინგლისელი დრამატურგი (**4**). 29. სტენდალის შემოქმედებაში ერთობ პოპულარული ქალაქი იტალიისა (**5**). 30. უდანაშაულობის საბუთი (**3**). 31. შუა საუკუნეების რელიგიური სპექტაკლი (**6**). 32. რა ცნება აერთიანებს ქალსა და ორდენს? (**5**). 33. ჩვენ ასე ვეტყოდით — სხეისთვის ცხოვრება ანუ რა? (**6**). 34. შტატი აშშ-ს სამხრეთ ნაწილში (ცენტრი — მონტგომერი) (**6**).

## „ფანტაზიის" ფოტოალბომი

### „XX საუკუნის 100 ულამაზესი ქალი" („პლეიბოის" ვერსია)

1. Marilyn Monroe



2. Jayne Mansfield



3. Raquel Welch



4. Brigitte Bardot



შემდეგ ნომერში იქნებიან:
5. Cindy Crawford 6. Sophia Loren 7. Elizabeth Taylor. 8. Pamela Anderson.




## ფანტაზიის დიდოსტატები

# შიშის მაესტრო

ზოგჯერ ისტორიას, და განსაკუთრებით კინოს ისტორიას, ნაირგვარი ფოკუსების წარმოჩენა შეუძლია. ვინ წარმოიდგენდა, რომ 1899 წელს ინგლისი აჩუქებდა მსოფლიოს ყველაზე მომხიბლავ, ყველაზე დიდი ფანტაზიის მქონე, ყველაზე დიდ დამშინებელ და, რაც მთავარია, ადამიანური სულის, კერძოდ კი მისი ყველაზე ბნელი ადგილების, ჭეშმარიტ მცოდნე რეჟისორს. კინომ, რომელსაც მაშინ სულ რაღაც ოთხი წლის არსებობის ისტორია გააჩნდა, თავის რიგებში შეიტყუა ერთ-ერთი პირველი გენია, რომელიც ლონდონის მშვიდ და უპრეტენზიო კათოლიკურ ოჯახში დაიბადა. ალფრედი წყნარი და დაკვირვებული ყმაწვილი იყო, არავის მის გარშემო და არც თავად მას ოცნებაც კი არ შეეძლო იმაზე, რომ ოდესმე კინოს საოცარი სამყაროს სრულუფლებიანი წევრი გახდებოდა.

...მაშინ კინო უკვე 20 წლის ისტორიას ითვლიდა, მის „საამქროებში" უკვე სრული დატვირთვით მუშაობდნენ გრიფიტი, ვინე, ჩაპლინი, პროტაზანოვი... და ერთხელ ლონდონში ერთი ამერიკული კინოსტუდიის მოღვაწენი ჩავიდნენ; იქ მათ რაღაც ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა სურდათ და შემთხვევით წააწყდნენ 19 წლის ჭაბუკს, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა ტექნიკაში, მექანიკასა თუ ფიზიკაში და, გარდა ამისა, ხატვის დიდებული ნიჭიც გააჩნდა. ამ ჭაბუკმა პირველივე შეხვედრისას გააოცა ამერიკელები იმით, რომ ტიტრების შექმნის სრულიად ახალი მეთოდი შესთავაზა კინომოღვაწეებს და თანაც მან ეს იდეა სულ რაღაც წამებში შეთხზა და ჩამოაყალიბა. ტიტრები ტიტრებად, მაგრამ სულ მცირე ხანში ალფრედს ეს თანამდებობა არ აკმარეს და რეჟისორის ასისტენტობა შესთავაზეს; ორიოდე წლის შემდეგ კი თავად ალფრედმა აღარ იკმარა ასისტენტობა და დამოუკიდებლად შეუდგა ფილმების გადაღებას; უსაზღვრო ფანტაზიის ახალგაზრდა რეჟისორს ვერავინ უწევდა კონკურენციას, რადგან მის გარშემო არსებულ სამყაროში პრაქტიკულად არ მოიპოვებოდა ადამიანი, ვინც მისი წარმოსახვის უნარს გაოგნებამდე არ მიჰყავდა. თუმცა ბედის ირონია იმაში მდგომარეობდა, რომ დასაწყისში პროდიუსერები ჰიჩკოკს მხოლოდ კომედიების და მელოდრამების გადაღებას სთავაზობდნენ. მხოლოდ მესამე ფილმში — „მდგმური" — გამოჩნდა „ჭეშმარიტი ჰიჩკოკი". მისმა წარმოსახვამ ფრთა გაშალა და დაიწყო წვდომა ყოველგვარი იდუმალებით მოცული, დეტექტიური თუ უბრალოდ საინტერესო ამბების წიაღში. ამავე დროს ჩამოყალიბდა მისი სტილიც, თუმცა ეს სტილი კი არა სრულფასოვანი მრწამსი იყო, რაც ერთი სიტყვით - „შანტაჟით" - შეიძლება შემოიფარგლოს. სხვათა შორის, ამავე სახელის მქონე ფილმი აღმოჩნდა ის პირველი ხმოვანი ინგლისური ქმნილება, რომელიც კინოს ისტორიაში შევიდა და უშუალოდ დაუკავშირდა ჰიჩკოკის სახელს. თუმცა მისი მთავარი დამსახურება მაინც ისაა, რომ მან შეძლო დაერწმუნებინა უკვე კარგად წამოჩიტული კინოსამყაროს ნაირგვარი მოღვაწენი თუ კრიტიკოსები, რომ ე.წ. „ჟანრული" და კონკრეტულად „გასართობი კინო" აუცილებლად უნდა ჩაითვალოს სერიოზულ კინემატოგრაფიულ ქმნილებად.

საოცარია, მაგრამ ჰიჩკოკის კინოოლიმპზე ზეასვლასა და აღიარებას ხელი შეუწყეს არა ჰოლივუდელმა „კინოშნიკებმა", არამედ ფრანგული კინოს ე.წ. „ახალი ტალღის" რეჟისორებმა, რომლებმაც პუბლიკის გამრთობ უბრალო რეჟისორში თავისი თანამოძმე დაინახეს კინოს მარადიული ფასეულობების ძიების საქმეში. ჯერ კლოდ შაბროლმა და ერიკ რომერმა შექმნეს მონოგრაფია ჰიჩკოკის შემოქმედების შესახებ, შემდეგ კი სხვა დიდოსტატმა ფრანსუა ტრიუფომ დაწერა, ალბათ, საუკეთესო წიგნი გენიალურ ალფრედზე, რომელსაც „ჰიჩკოკის კინემატოგრაფი" უწოდა და რაც, თავის არსით, არის ჰიჩკოკთან გამართული საუბრების ციკლის ჩანაწერები.

ალბათ, კინოს ისტორიაში არ მოიძებნება სხვა ისეთი რეჟისორი, რომელსაც მაყურებელი არანაკლებად იცნობდა, ვიდრე ნებისმიერ კინოვარსკვლავ მსახიობს. მისი თითქოს ჩვეულებრივი, მაგრამ ამავე დროს შეუცნობელი მომხიბვლელობით შემოსილი გარეგნობა ერთგვარ კინოხატადაც კი იქცა. ეს საშუალო სიმაღლის ჩასუქებული კაცი, XIX საუკუნის ტიპიურ ინგლისელ ესკვაირს რომ წააგავდა, ყველა იმ შიშისა და იდუმალების მოარული სიმბოლო გახდა, რითაც ასე ამაყობს და სარგებლობს მთელი კინემატოგრაფი. მის უცნაურ გამომეტყველებას მაყურებელი სტატისტების გუნდში დაეძებდა ხოლმე, არადა მის პროფილს თავისუფლად შეეძლო წასწყდომოდა რომელიმე დეტექტიური ჟურნალის გარეკანზე. თანამედროვე მაყურებელი, რომელიც დღევანდელი კინოს სისხლიან კოშმარებსაა ჩვეული, გაოცებით აღმოაჩენს ხოლმე ჰიჩკოკის ფილმებში ისეთივე „საშინელებების" ფაქტებს, მაგრამ არა უაზრო ეფექტებით შემოსილს, არამედ დახვეწილ თხრობას ადამიანური ბოროტების შესახებ, რაც შეუიარაღებელი თვალით ძნელი შესამჩნევია. ჰიჩკოკი არასოდეს ისწრაფვოდა გარეგნული ეფექტებისაკენ, რომლებიც მხოლოდ თავისი ნატურალურობით იწვევენ შიშსა და ზიზღსაც კი; იგი შიშის ფორმულას მექანიკურად დალაგებული სცენებით არ ქმნიდა, მისთვის მთავარი იყო ჩაწვდომა იმ მოვლენებში, რაც პირველ რიგში თავისი იდუმალებით იყო შიშისმომგვრელი.



## ორფერიანი ნონოგრამა




ფერად ნონოგრამებს ზოგადად ერთი თავისებურება ახასიათებს - ამა თუ იმ ფერების შესაბამისი უჯრედების ჯგუფები შესაძლოა ერთმანეთზე იყოს მიტყუპებული, ასე რომ რომელიმე რიცხობრივი კომბინაციის სრულად აღმოჩენის შემთხვევაში მის ბოლოში ,,იქსს" (ცარიელი უჯრის შესაბამის ნიშანს) ნუ დასვამთ, რადგან იქ შეიძლება სხვა ფერის რიცხობრივი კომბინაცია იწყებოდეს. თუმცა ფერად ნონოგრამაში ერთი გაადვილებული შტრიხი მაინც შეინიშნება, ანუ – ხაზების გადაკვეთის საშუალებით შეიძლება დავადგინოთ მოცემულ სივრცეში ესა თუ ის ფერის უჯრა არის თუ არა. ჩვენს ნახატზე შავი ციფრებით ,,შავი უჯრედების" კომბინაციებია აღნიშნული, თეთრით კი ,,წითლისა," ასე რომ თუ ბადეს დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ იქ, სადაც თუნდაც მე-6-7 ვერტიკალები მე-5-14 ჰორიზონტალებს კვეთენ, წითელი უჯრედები არ არსებობს, ეს კი რაღაც მინიშნება უკვე არის.

მომავალ ნომერში სამფერიან ნახატს შემოგთავაზებთ.

**თარაზულად**: 1. თბილისის მეტროპოლიტენის ერთი სადგურის ყოფილი სახელი. 4. დამხმარე ისტორიული მეცნიერება, რომელიც მონეტებს შეისწავლის. 9. სასამართლოთა უწყებების სისტემა ძველ რომში. 17. ძველქართული სამკურნალო წიგნი. 18. XX ს რუსი მწერალი, ავტორი გრიბოედოვის შესახებ შექმნილი რომანისა „**Смерть Вазир-Мухтара**“. 19. თეოდორ დრაიზერის რომანი. 22. ჯორჯ გორდონ ბაირონის დრამატული პოემა-მისტერია. 23. თანამედროვე პოპულარული ავტორბოლების საჩემპიონატო სახელი. 24. სადაური იყო წარმოშობით XII ს ინგლისის მეფეთა კარზე მოღვაწე პოეტი ვასი (**Wace**). 28. სოხუმის წინაპარი ქალაქი. 29. (მედიცინაში) ვენური სისხლის შეგუბება. 30. სპორტის ერთ-ერთი ზამთრის სახეობა. 34. დოკუმენტალურად გაფორმებული და კანონმდებლობით დაცული ცოდნა და გამოცდილება ამა თუ იმ საწარმოო სფეროში. 35. კათოლკური მონასტრის წინამძღვარი ქალი. 36. უოლტ დისნეისეული პერსონაჟი გოგონა. 37. ცურვის ერთ-ერთი სტილი. 42. ლიტვის წარმოების ფერადი ტელევიზორი. 43. საკურორტო ქალაქი ხმელთაშუა ზღვის თურქეთის სანაპიროზე. 44. სვლის საწინააღმდეგოდ მქროლავი ჰაერის მასა. 45. მავანი „ქოსა“ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებიდან. 50. რა ელემენტია ეს **Au** (ქიმია, რა თქმა უნდა, გახსოვთ!) 51. საკუთარი გარეგნობის ერთობ ხაზგასმით წარმომჩენი სუბიექტი. 52. ესპანეთის „ვალენსიის“ ფრანგი ფეხბურთელი-ლეგიონერი. 53. მოასპარეზეთა უნარშესაძლებლობების დამდგენი ღონისძიება. 57. ოსური ცეკვა. 58. 360-600 მეომარისაგან შემდგარი ქვეგანაყოფი ლეგიონისა ძველ რომში. 59. თბილისის „დინამოს“ ძველი თაობის ფეხბურთელი, რომელიც თავით თამაშით გამოირჩეოდა. 60. ქართული კლუბის „რა? სად? როდის?“ კრუპიე. 65. არასტაციონარული ტიპის სავაჭრო ნაგებობა. 66. 50-იანი წწ მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელი და 70-80-იანი წლების მოსკოვის „სპარტაკის“ მწვრთნელი. 67. კატლეტშნიცელების რიგის ერთგვარი სარესტორნო ულუფა. 68. XVIII საუკუნის ფრანგი პოეტი და პუბლიცისტი. 73. დასავლური სამყაროს ზოგიერტი ქვეყნის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ძალზედ მცირე ხნით ჩვენშიაც დაინერგა. 74. სამუელ რიჩარდსონის ერთი ცნობილი ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ქალი, ლოველასის სატრფო. 75. ბილიარდის ყვითელი ბურთი. 79. მექანიკის ნაწილი, რომელიც სხეულთა წონასწორობის პირობებს სწავლობს. 80. შტამპი, ნიმუში, რომლის მოთხოვნებსაც ბრმად მისდევენ. 81. ერთგვარი გორაკი, ბექი, მაღლობი. 82. პოეტური ნაწარმოების შემადგენელი ნაწილი. 87. დრამატული ნაწარმოების მონაწილეთა ჯგუფი ძველბერძნულ ტრაგედიებში. 88. თოკები, რისგანაც მეზღვაურები გვარლს გრეხენ. 89. XIX საუკუნის დიდი ინგლისელი მეცნიერი. 90. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი. 91. გეომეტრიული ფუნქციებით აღწჭურვილი ხაზი. 96. 200 მილიონი წლის წინ დედამიწა კონტინენტებად დაუყოფელი ყოფილა (ერთი თეორიის თანხმად)... რა სახელი შეარქვეს მეცნიერებმა ასეთ და უყოფელ ვარიანტს? 97. მუსლიმანთა ერთ-ერთი წმინდა ქალაქი. 98. ასე ვთქვათ, ბუასილი არაქართულად. 99. პოლონელი სუბიექტი, ბოლშევიკურ-მენშევიკური სამოქალაქო ომის გმირი, როგორც ადრე მიაჩნდათ. 103. კუთხისა და რკალის საზომი ერთეული. 104. დღევანდელი კიევის „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი. 105. ზანგ მონათა უფლებების დამცავი ამერიკელი მწერალი ქალი. 110. ტარიელისაგან გატყორცნილი კაცი „ბრუნავს ვითა... (რა?). 111. ჟან-ბატისტ მოლიერის ნამდვილი გვარი. 112. ორგანიზმის მაღალი მგრძნობიარობა ამა თუ იმ გამღიზიანებლის მიმართ. 113. 70-80-იანი წწ იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მცველი, მსოფლიო ჩემპიონი. 118. უხერხულ სიტუაცია-გრძნობათა, ასე ვთქვათ,თანხვედრის ვითარება. 119. ესტუარული მდინარე, რომელიც გარონასა და დორდონის შერწყმით წარმოიქმნება საფრანგეთში. 120. ანტონი ვან ლევენჰუკის მიერ შექმნილი პოპულარული სამეცნიერო ხელსაწყო. 124. 60-70-იანი წწ იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მარცხენა გარემარბი. 125. საბჭოური წარმოების კინოფოტოფირი. 126. ასაკოვანი ანუ როგორი კაცი? 127. მუსიკალური ნაწარმოების სახესხვაობა. 128. თანამედროვე ნიგერიელი ფეხბურთელი. 133. რუსი დრამატურგი, ავტორი ცნობილი პიესისა „ვარშავული მელოდია“. 134. ძველბერძენი ფილოსოფოსი. 135. საბრძოლო დანიშნულების ნიჩბებიანი ხომალდი ძველ რომში. 136. სლავურ სამყაროში გავრცელებული ტიტული ამა თუ იმ სფეროში დაწინაურებული სუბიექტისა. 140. ტექსტის შემადგენელი ნაწილი. 141. ფართოდ რეკლამირებადი ყავა. 142. ქალაქი ლიბანშიც და ლიბიაშიც. 147. ვიზუალური დანიშნულების დანადგარი. 148. ამა თუ იმ სავაჭრო-სამომსახურეო სფეროს მომხმარებელი. 149. გზის საფარი. 150. ვინ იყო ზვიადაური ქისტებისათვის. 155. XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსი (სახელი და გვარი). 156. ქალაქი, სადაც 1943 წლის ზამთარში მეორე მსოფლიო ომის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა. 157. თანამედროვე ბიზნესის ცნება, უნაღდო ანგარიშსწორებათა სისტემა. 161. როგორი მცენარეა თუნდაც სვია? 162. მალაის ერქიპელაგის უდიდესი კუნძული. 163. ძირითადად სამკურნალო დაწესებულებებში – ავადმყოფის მიმღებ-გამანაწილებელი სამსახური. 164. ერთ-ერთი პოპულარული გამოსამშვიდებელი სიტყვა. 165. დედამიწის ამა თუ იმ მოცემული რეგიონის ზედაპირი. 166. ცნების ზუსტი განსაზღვრა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით. 167. რა ერქვა ალექსანდრე მაკედონელის მამას?



**შვეულად**: 1. ჯოვანი ბოკაჩოის ნაწარმოები. 2. პუშკინისეული „ევგენი ონეგინის“ მთავარი პერსონაჟი ქალის გვარი. 3. სუბორდინაცია. 5. ურნა. 6. ქალაქი აშშ-ში, ფლორიდის შტატში. 7. უფროსებისადმი უმცროსების სამსახურეობრივი დაქვემდებარება. 8. კინოსაფესტივალო ქალაქი საფრანგეთში. 10. ჰომეროსის პოემებში აღწერილი ქალაქის ერთ-ერთი სახელი. 11. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ადათ-წესი. 12. ყოვლისმომცველი და მთლიანი, ანუ როგორი? 13. რა ერთვის აპსირინს?. 14. ხანგრძლივი ავადმყოფობით გამოწვეული სისუსტე. 15. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ცნობილი ფირმა. 16. დღეს ჩვენთან მიმდინარე პოპულარული ლატარია. 20. უნგრეთის ფულის ერთეული. 21. გამოთქმა, რომელიც სხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. 25. რეჟისორი ფილმისა „მეხუთე ელემენტი“ (სახელი და გვარი). 26. როგორია სხვათა სიკეთეებზე დახარბებული და მიმტაცებელი სუბიექტი? 27. ამა თუ იმ ცნების დაფიქსირება. 31. „რადიო 2“-ის საინფორმაციო ტელეგადაცემა. 32. მდინარე საქართველოში. 33. 70-80-იანი წლების უძლიერესი საბჭოელი ძალოსანი. 38. ნახევარკუნძული და შტატი აშშ-ში. 39. ბიზნესის ამა თუ იმ სფეროში დიდი გავლენის მქონე სუბიექტი. 40. დაავადება, რომელიც მეცნიერთა მტკიცებით, თითოეულ ადამიანს ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ეყრება. 41. უძველესი გადმონაშთი. 46. ერთ-ერთი ასტროლოგიური ცნება. 47. **იხილეთ ფოტო**. 48. საქონლის იმპორტ-ექსპორტის აკრძალვა. 49. უფრო ხშირად ორთვლიანი, შიგაწვისძრავიანი.... მეტი რაღა გითხრათ? 54. გერმანიის სოციალურ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. 55. გულით ავადმყოფთა შორის პოპულარული მედიკამენტი. 56. ერთმანეთისაგან ორი მკვეთრად განსხვავებული ცნება. 61. ორგანული ნივთიერება,ერთატომიანი სპირტი,მოიპოვება ცხოველურ ორგანიზმებში. 62. კანის მძიმე გადამდები სნეულება. 63. თეატრალური სანახაობის სახესხვაობა. 64. უოლტ დისნეის ქმნილება. 69. მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის სახესხვაობა. 70. ერთ-ერთი პოპულარული შენადნობი. 71. ძალიან და ძალიან მახინჯი და შეუხედავი. 72. შექსპირის ერთი ცნობილი „რომაული“ ტრაგედიის მთავარი პერსონაჟი. 76. ძალა, რომელიც, გავრცელებული რწმენით, წარმართავს წუთისოფლის ბინადართა ხვედრს. 77. XX საუკუნის ცნობილი რუსი მწერალი. 78. ქიმიური ელემენტი. 83. სამუზეუმო დანიშნულების ნივთი. 84. ჩრდილოკავკასიური ტოპონიმი. 85. ავტორი რომანისა „ახალგაზრდა გვარდია“. 86. ზღვის წვრილი თევზი. 92. საკურორტო დაბა კრასნოდარის მხარის შავიზღვისპირეთში. 93. ფილტვებში ბრონქების ბოლოებზე არსებული ბუშტი. 94. პატარა ჩიტი. 95. ტრაგედია ჰამლეტის პერსონაჟი. 100. ცნობილი საბჭოელი მომთვინიერებელი ქალი, თუნდაც ფილმიდან „ზოლიანი რეისი“. 101. ერთ-ერთი იმ ექვს ქიმიურ ელემენტთაგანი, რომელსაც ქვეყნის რაიმე სახელი უწოდეს. 102. მომავლისაკენ უიმედოდ მომზირალი სუბიექტი. 106. სიძველეთა შემსწავლელი სპეციალისტი. 107. ძმაკაცი ძველთბილისურად. 108. ძველი საბერძნეთი ძველი ბერძნებისთვის. 109. პოპულარული ქართული გაზეთი. 114. არაარსებითი და მოჩვენებითი,ანუ როგორი? 115. მოსკოვის ერთ-ერთი დამაარსებელი. 116. ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟის რეალური პირველწყარო. 117. მოჩვენებითობა,ანუ რა? 121. არაპოეტურობა – ზოგადად. 122. გონებრივად სუსტი სუბიექტებისათვის დაავადების სახელის განმსაზღვრელი მეცნიერი. 123. ინდუისტური რელიგიის ერთ-ერთი უმთავრესი ცნება. 129. როგორია ბავშვური აზროვნების და ზოგადად იმიჯის მქონე სუბიექტი? 130. ბოსტნეული კულტურა. 131. მავანი დოუელის სამეცნიერო წოდება. 132. ლენინის საყრდენი საზოგადოებრივი კლასი. 137. ახლო წარსულში პოპულარული იტალიელი მომღერალი ქალი. 138. ერთი ფართოდ რეკლამირებადი მედიკამენტი დღევანდელ საქართველოში. 139. ორი საწყალოსნო სივრცის დამაკავშირებელი არტერია. 143. ქალაქი ალასკის შტატში, აშშ. 144. სველი და ნამიანი, ანუ როგორი? 145. პოპულარული იტალიელი მსახიობი ქალი, სტეფანია. 146. მახვილის გავრცელებული სახელი აღმოსავლელქართველ მთიელთა შორის. 151. სანტექნიკური დანადგარი. 152. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი. 153. ერთ-ერთი პოსტსოციალისტური ევროპული სახელმწიფოს ფულის ერთეული. 154. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი ტიტულოვანი კაპიტანი. 158. ჩვენი „ზღაპრული“ რიცხვი. 159. თბილისის გარეუბანი. 160. დიდი ბრაზილიელი ფეხბურთელი.



# ფანტაზიორი

*ინტელექტუალური ტესტი*
რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
პასუხები – მე-12 გვერდზე

კითხვა №1
ერთი აფრიკული ტომის ორატორები სიტყვის წარმოთქმისას აუცილებლად ცალ ფეხზე უნდა იდგნენ....
**რატომ? (6 ქულა)**

კითხვა №2
ეს ხელოვნება ერთ-ერთი უძველესია ამქვეყნად და, როგორც ჩანს, ყველაზე გავრცელებული. სტატისტიკის თანახმად, დღეს მსოფლიოში ამ ხელოვნების 500 მილიონი ნაწარმოები არსებობს. მთელი ცივილიზაციის არსებობის განმავლობაში კი მათი რაოდენობის დადგენა არანაირ გამოთვლებს არ ექვემდებარება...
**რა ხელოვნებაზეა ლაპარაკი? (7 ქულა)**

კითხვა №3
პირველად ეს ოპერაცია ქალის სხეულზე 1806 წელს ჩაატარა იტალიელმა ტორინიმ და თურქეთის სულტანს აჩვენა კონსტანტინეპოლში. მას შემდეგ მთელი საუკუნის მანძილზე მისი ჩატარება ვეღარავინ შეძლო. მხოლოდ 1920 წელს მოახერხეს ამის გამეორება ამერიკელებმა სელბიტმა და გოლდშტეინმა. ეს ოპერაციები ჩვენთანაც ჩატარებულა და, შესაძლოა, თქვენც ყოფილხართ მისი თვითმხილველები.
**რა ოპერაციაზეა ლაპარაკი? (9 ქულა)**

კითხვა №4
ის ევროპაში პირველად 1492 წელს გამოჩნდა; მას შემდეგ არაერთხელ უცდიათ მისი გაშლა, მაგრამ სრული წარმატებისათვის ჯერ მაინც არავის მიუღწევია...
**რა იგულისხმება? (10 ქულა)**

კითხვა №5
ამ მწერლის სიკვდილის წელს საბჭოთა კავშირში გამოვიდა მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნი, სადაც ნაგულისხმები მწერლის მთავარი ნაწარმოები ასეა დახასიათებული: „ეს არის იმპერიალისტური მტაცებლობის აპოლოგია, რომელიც ოცნებობს ცხოველთა ხროვად გარდაქმნილ ადამიანთა საზოგადოებაზე, სადაც ერთადერთი კანონი იმოქმედებს - მტაცებლის უფლება ნანადირევის მოპოვებაზე; სადაც იმეფებს ქაოსი, ანარქია და ნგრევა, მოკლის ჟინი და სიკვდილის შიში კი შეცვლის ყველა მორალურ ფასეულობას".
**რა ნაწარმოები იგულისხმება? (11 ქულა)**

კითხვა №6
ამ რიგში დგანან ისეთი ადამიანები, როგორებიცაა: თემურ ლენგი, ექიმი პიროგოვი, რევოლუციონერები დმიტროვი და ჰო ში მინი და სხვა...
**ვინ იყო პირველი? (12 ქულა)**

კითხვა №7
სარაგოსაში მცხოვრებმა ესპანელმა არქიტექტორმა ალბერტო ლორენომ მბრუნავი სახლი დააპროექტა, რომელსაც „გირასოლი" უწოდა. ამ სახლს შეუძლია 360 გრადუსით შემობრუნდეს და მას კომპიუტერი მართავს, რომელსაც შეგიძლია ისეთი ბრძანება მისცე, რომ, მაგალითად, ყოველი საათის განმავლობაში სახლი ერთი გარკვეული მიმართულებით იდგეს, ან რომ მთელი დღის განმაელობაში ესა თუ ის ოთახი სულ მზით იყოს განათებული და ა.შ.
**რას ნიშნავს ესპანურად სიტყვა „გირასოლი"? (10 ქულა)**

კითხვა №8
ძველ რომში იყო ასეთი მანძილის საზომი ერთეული, რომელსაც **iter pedestre** ერქვა და დაახლოებით 29 კილომეტრს უდრიდა.
**რამ განაპირობა მანძილის ამ ერთეულის წარმოშობა? (8 ქულა)**

კითხვა №9
**რომელი ადამიანები არ გრძნობენ არანაირ უხერხულობას ლონდონის ნისლიანი ამინდების დადგომისას და სხვებსაც კი ეხმარებიან ქალაქში გადაადგილებაში? (5 ქულა)**

კითხვა №10
კუნძულ სიცილიის დასავლეთ ნაწილში ყველაზე პოპულარული, მაღალანაზღაურებადი და საჭირო პროფესია არის „გზისშემკეთებელი".
**რატომ? (10 ქულა)**

კითხვა №11
დაასრულეთ ამერიკელი იურისტის აფორიზმი:
**„თუ ჩვენ გვსურს მივაღწიოთ იმას, რომ კანონს პატივს სცემდნენ, ჩვენ უნდა შევქმნათ... (4 ქულა)**

კითხვა №12
კინემატოგრაფში ხმის ოპერატორები, ფილმის გახმოვანებისას, კრახმალს ეკრანზე მიმდინარე ერთი სპეციფიური მოვლენის აკუსტიკური შესაბამისობის შესაქმნელად იყენებენ.
**რა მოვლენაა ეს? (8 ქულა)**

---

## შევაჯამოთ ქულები

**20** ქულამდე – ეს მხოლოდ დასაწყისია!..
**21-35** ქულა – თქვენი ცოდნა გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს.
**36-50** ქულა – თქვენი ცოდნა და ინტუიცია ჰარმონიაშა მოსაყვანი.
**51-70** ქულა – თქვენი ცოდნის უკან სათანადო ინფორმაციული მხადაჭერა არ დგას.
**71-80** ქულა – ჩვენ ვამაყობთ, რომ ასეთი მკითხველები გვყავს.
**81-94** ქულა – ღირსეული შეღევა! მიიღეთ მონაწილეობა ინტელექტუალურ თამაშებში.
**95-100** ქულა – პასუხები აღარ დავბეჭდოთ?




*გთავაზობთ სამ კითხვას. გამარჯვებისათვის საჭიროა სამივეზე ზუსტი პასუხის გაცემა. ერთი ტურის საპრიზო ფონდია 10 ლარი, ორი და მეტი გამარჯვებულის არსებობის შემთხვევაში ეს თანხა მათს რაოდენობაზე გაიყოფა, ხოლო თუ ვერავინ გაიმარჯვა, თანხა ჯეკ-პოტის სახით შემდგომ ტურში გადავა. მე-6 ტურის პასუხები მიიღება გაზეთის გამოსვლის მესამე დღეს, კვირას, 12 მარტს, 16-დან 18 საათამდე ტელეფონით 79-53-70.*

### მეხუთე ტურის შედეგები

სწორი პასუხებია: **1. ერთმა ფსიქოანალიტიკოსმა უთხრა მეორეს — ის, ვინც ამ კაცს სცემა, ჩვენს დახმარებას საჭიროებსო. 2. Крылья Советов. 3. ეს მწერალია სერვანტესი (იგულისხმება ინგლისური სიტყვა Donkey, რაც ვირს ნიშნავს).**

ტურში მონაწილეობა მიიღო 20-მა პიროვნებამ; ჩასათვლელი ქულები მიიღო 10-მა მათგანმა. სამივე კითხვას ზუსტი პასუხი გასცა მხოლოდ გია ჯვარშეიშვილმა; ოთხმა პიროვნებამ 2-2 პასუხი ამოიცნო.

სატურნირო მდგომარეობა ხუთი ტურის შემდეგ (ფრჩხილებში მითითებულია დარიცხული თანხა):

**10 ქულა**: სოფიკო ღუნღუა (11,70)
**8** - გია ჯვარშეიშვილი (11,70)
**7** - გიორგი გვასალია (1,70), ბაჩანა შენგელია
**6** - ვახტანგ გაფრინდაშვილი (11,70), ვაჟა პაპუაშვილი (1,70), პაატა თალაკვაძე (1,70), ილია შარიქაძე (1,70), გელა ქველიძე
**5 ქულა**: დიანა საღრიშვილი (1,70)
3-3 ქულა: რომან ქევანიშვილი (1,70), ზურა წერეთელი (1,70), თეა კირთაძე (1,70), ზურაბ მჭედლიშვილი (1,70), დათო გოგოჭური, ვასილ ბაჩიაშვილი, დათო ჭილიტაშვილი, თამარ დამენია
2-2 ქულა: ნონა კანდელაკი, ნინო გოგიჩაიშვილი, ნიკოლოზ დანდლიშვილი, შოთა მესხია, გია ბალაშვილი, ვახტანგ ნოზაძე, ნათია პაპიაშვილი, ვალერი პაპიაშვილი.
1 ქულა: ნათია ბაიაშვილი, გიორგი პაპუაშვილი
(**დამატებითი წახალისება:** ყოველი 12 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე მყოფი მონაწილე დაჯილდოვდება დამატებითი 10 ლარით და ხელახლა დაიწყება ქულების დაგროვება).

### მეექვსე ტურის კითხვები

პირველი კითხვა
ერთხელ ერთ სკანდინაველ ეთნოგრაფს სამხრეთ ამერიკაში უამბეს თავგადასავალი დიადი ბელადისა, რომელიც წაგებული ბრძოლის შემდეგ თავის თანამებრძოლებთან ერთად წყნარი ოკეანის სანაპიროსაკენ გაიქცა და შორეული კუნძულებისაკენ გაცურა...
**რა ერქვა იმ ბელადს?**

მეორე კითხვა
მათი რაოდენობა თუ ორია, ისინი ვერტიკალურად არიან განლაგებულნი, სამის ერთად ყოფნა ჰორიზონტალურ განლაგებას გულისხმობს.
**რა ფუნქციას ასრულებს ის, როცა ერთია?**

მესამე კითხვა
ერთი რუსი იუმორისტის აზრით, ამ რადიოსადგურის სახელი სხვა არაფერია, თუ არა პირველი ნაწილი ფრიჟოლური წარწერისა, როგორსაც შეიძლებოდა ძველი რომის კედელზე ან მესერზე წასწყდომოდით...
**რომელი რადიოსადგური იგულისხმება?**

# უბრალოდ კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ძეხვეულის მწარმოებელი ფირმა, რომელიც ჩვენებურ მისალმებას მოგვაგონებს. 4. რა სიტყვა აერთიანებთ დღესდღეობით ასლან აბაშიძეს, ჯუმბერ პატიაშვილს და ქართლოს ლარიბაშვილს? 8. ფედერიკო ფელინის მშობლიური ქალაქი. 14. რა შეიძლება ეწოდოს ისეთ მოვლენას, როცა ვინმე, თუნდაც, ჯოკონდაზე თავის სახელს აწერს? 15. შენობა, რომელშიც ხდება ციური სხეულების მოძრაობის დემონსტრაცია. 17. სასურველი, საყვარელი ადამიანი... მთიელთათვის. 18. წარმოშობით ქართველი, ამერიკელი ბალეტმეისტერი. 19. ფრინველი, რომელიც ახალ ზელანდიაში იქაურმა აბორიგენებმა მკერდზე ამოუსვირინგეს ჟაკ პაგანელს (პაგანელი ვინაა, ალბათ, გასაგებია?). 22. ერთ-ერთი ოთხფეხათაგანი, რომელიც მხოლოდ ორფეხობას ვერ იტანს (სამფეხობაზე ყაბულსაა). 23. მზადება რაიმე წარმოდგენისათვის. 24. „რომის მაცხოვრებლის" აღმნიშნავი მამაკაცის სახელი. 29. ცოდვების შენდობის განმგებელი დაწესებულება რომის პაპის რეზიდენციაში. 30. რა შეიძლება ეწოდოს ადამიანს, ვინც ყველაფერს სასმელში ცვლის? 32. ერთგვარი ჩასაცმელი. 33. მიწის დიდი ნაკვეთი, სადაც მოყავთ სპეციალური სასოფლო-სამეურნეო კულტურა. 37. სახელი პოეტისა, რომელმაც უშუალოდ ინახულა რუსთველის საფლავი. 38. კურდღლების დელიკატესი. 39. როგორი ამინდებია ინგლისში? 42. მუსლიმანური „წმინდა თქმულება". 43. რომელი მათემატიკური ტერმინი უკავშირებდება კინუ რივზს ერთ ცნობილ ფილმში? 44. ქიმიური ჭურჭელი. 45. (......) გრინი, მწერალი. 49. რუკაზე თანაბარი ატმოსფერული წნევის ადგილთა შემაერთებელი ხაზი. 50. სატირული ხასიათის მიბაძვა. 51. ბრიყვის აღმნიშვნელი სიტყვა ჟარგონზე, რომელიც (თურმე!) ივრითზე „უცხოტომელს" ნიშნავს. 56. ფრანგული კონტრრევოლუციის აკვანი. 57. ზოოლოგიის ნაწილი... უმარტივეს ორგანიზმებს სწავლობს. 60. ამერიკიდან შემოტანილი მარცვლეული კულტურა. 61. ბაქტერიების მოსპობა საკვები პროდუქტების გაცხელებით. 64. სხვადასხვა ვალუტის შეფარდება ოქროთი. 65. ერთგვარი გამოცდა (თუნდაც იხილეთ მე-6 გვერდი). 66. რა ჰქვია თეატრში პატარა ოთახს, რომელიც ლოჟას ეკვრის? 69. აღმოსავლეთმცოდნეობის დარგი, რომელიც სწავლობს ასურულ-ბაბილონელების, ურარტუელების, ხეთების და ძველი აღმოსავლეთის ზოგი სხვა ხალხის ენას, ისტორიას და კულტურას. 70. ზომაზე მეტი, ანუ... 71. რა ჰქვია პიტს, ამერიკელ მსახიობს? 75. სამკურნალო მცენარე. 76. მეცნიერება დედამიწის ქერქის შემადგენლობაში შემავალი კრისტალების შესახებ. 77. თოჯინა, რომელიც დღესდღეობით რამოდენიმე ათეულ წელს ითვლის. 81. ფრანგი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონატზე ხორვატიის კარში ორი გოლის გამტანი. 82. დაწესებულების მმართველი ორგანო. 85. ქსილოფონი, რომელსაც ხის ნაცვლად რკინის ფირფიტები აქვს. 86. მეტისმეტი მისწრაფება ყველაფრის გრანდიოზულობისაკენ. 87. რა არის თარ.№ 14-ში მოყვანილი ფაქტი თავისი არსით? 88. ნახევარკუნძული ეგვიპტეში. 89. ჩატეხილი რამ ილიას შემოქმედებაში.

**შვეულად:** 1. სომხებისთვის „ზღვის" ფუნქციის შემსრულებელი ტბა. 2. ყოფილი სახელი, ქალაქისა, რომელიც 1988 წლის 7 დეკემბრის მიწისძვრამ საკმაოდ დააზიანა. 3. ბევრი რამის გამომხატველი, ანუ როგორი? 5. სიტყვა, რომელიც ლათინურად „მაწოვარას" ნიშნავს, ყაზახურად კი – „დიდს". 6. ევროპის ისტორიული რეგიონი, დღევანდელი სლოვენიისა და იტალიის ტერიტორიაზე. 7. აცტეკების დედაქალაქი (amჟამად ამ ქალაქის ადგილზე მეხიკო მდებარეობს). 9. ქალაქი ბელგიაში, სადაც პირველად გამოიყენეს ქიმიური იარაღი. 10. საზეიმო, დეკორატიული განათება შენობათა ფასადების, ქუჩების, პარკების და ა.შ. 11. უმფოთველი ყოფა. 12. რა უნდა გაიძულოს ჭეშმარიტმა ლიტერატურულმა ნაწარმოებმა? 13. სოფელი გორის რაიონში. 16. ადგილი სადაც ლუკმა-პურს შოულობენ ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ლაპარაკით ირჩენენ თავს. 20. ჭაობების ამოშრობის და მიწების ხელოვნური მორწყვის სპეციალისტი. 21. ველოსიპედის სახესხვაობა, რომელიც მრავალ ჩვენგანს მხოლოდ ცირკში უნახავს (ანუ ერთბორბლიანი ველსიპედი). 25. ბრმა ნაწლავის დანამატი. 26. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი. 27. ქართული დეტექტიური ლიტერატურის ნაწარმოები, რომელსაც ამავე სახელწოდების ფილმთან მხოლოდ სახელწოდება აკავშირებს. 28. ყველაფრის ხელაღებით უარყოფა... ნიცშე ამბობდა, რომ ეს ცნება ყველაზე საშინელი სტუმარია, რომელიც კარს უკანაა დამალულიო. 31. რა შეიძლება ეწოდოს ადამიანს, რომელიც შეუგნებლად არ იტყუება? 34. ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში მუდმივად განლაგებული სამხედრო ნაწილი. 35. საზკვების დარგის მუშაკი. 36. მუსლიმანთა მთავარი დღესასწაული. 40. ქალაქი აფხაზეთში. 41. საბჭოური წარმოების ტელევიზორი. 46. რა არის შიდსი თავისი არსით? 47. რაიმე მუდმივის აღმნიშვნელი სიტყვა მათემატიკურ ოპერაციებში. 48. დაუსახლებელ კუნძულზე მცხოვრები კაცის სახელი... (სხვათა შორის პირველი ასეთი ადამიანი, როგორც ამბობენ, ალექსანდრე სელკირკი ყოფილა). 52. ლირიკული პოეზიისა და მუსიკის მუზა ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში. 53. მრწამსი.... არაჩვენებურად. 54. კოლექციონერის ქმედება. 55. ქალაქი ყაზახეთში. 58. ქსოვილების, ორგანოების კვების დარღვევა ადამიანის ორგანიზმში. 59. ამა თუ იმ ადგილის მკვიდრი, მოსახლე. 62. გაბატონებული კლასის პრივილეგირებული ფენა. 63. ჭვრეტის ბუდისტური მეთოდი. 67. ციხესიმაგრის ან გამაგრებული რაიონის ჯარების უფროსი. 68. დიდი ქალაქი ქუჩა, რომელზედაც ინტენსიური მოძრაობაა. 72. მოჩვენების აღმნიშვნელი სიტყვა. 73. სამართალდამცავი ორგანო. 74. ქიმიური ელემენტი, რიგითი ნომერი *56*. 78. მოზაიკაში გამოყენებული ფერადი მინის ნატეხები. 79. ერთი აზრით შეკავშირებულ ხალხთა ერთობლიობა. 80. ჯადოქარი აზიურ სინამდვილეში. 83. შრომის (არაძირითადი) პროდუქტი. 84. მდინარე პაკისტანში.

შეადგინა გოგა ტარიელაშვილმა

ვთხოვთ იცნობდეთ „ფანტაზიის" ოჯახის სრულუფლებიან და ერთ-ერთ ყველაზე სტაჟიან წევრს, ქალბატონ

*მანანა მაისურაძეს* (აბარა)

## ანუ ინტერვიუ უცხოპლანეტელთან (პატარა რეპლიკების ჩართვით)

**„ფანტაზია" — ცოტა რამ თქვენს შესახებ...**

**მანანა მაისურაძე** — თქვენი (*ჩვენი – ქალბატონო მანანა!*) გაზეთის უბრალო მკითხველ-შემვსები არ გეგონოთ, რადგან უცხოპლანეტელი ვარ. ეს მაშინ დავადგინე, როცს ერთ დღეს გამომიცხადეს – აქაური არა ხარ და აიბარგეო; თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ორ-ორ მეტრ მიწას ყველას დაგვპირდნენ. მეც, რადგანაც ორი მეტრი მიწა ძალიან მეცოტავა, ავიბარგე და წამოვედი. აქ უარესი დღე დამადგა, ჩვენნაირებს, რბილად რომ ვთქვათ, შემოსწყრნენ და უკადრისი სიტყვებით გაგვიმასპინძლდნენ; ვიფიქრე – ქართული გვარ-სახელი მაქვს და მაინც არ მწყალობენ, სხვა ქვეყანაში რომ წავიდე, ხომ მ... ლად უკადრისად მომეპყრობიან-მეთქი და დავრწმუნდი, რომ უცხოპლანეტელი ვყოფილვარ... ოღონდ სამწუხარო ის არის, რომ ჯერ ვერ დავადგინე, რომელპლანეტელი ვარ...

**„ფ" – ჩვენი გაზეთის შესახებ რას იტყვით?**

**მ.მ.** — პირველად ის ნომერი ჩამივარდა ხელში, „ერთაოზვორდი" (*ასეთი ხუმრობები 1997 წელს გვიყვარდა*) რომ იყო დაბეჭდილი. თავდაპირველად მეუცხოვა, მაგრამ მერე მივხვდი, რაშიც (ე.ი. ლექსიკაში) იყო საქმე და ძალიან დავინტერესდი. იმის შემდეგ განუყრელ მეგობრებად ვითვლებით „მე და ფანტაზია".

**„ფ" — ჩვენ უფრო ნაკლოვანებები გვაინტერესებს.**

**მ.მ.** — ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ „ფანტაზიამ" ე.წ. „იაპონური ნახატების" ბეჭდვა დაიწყო, რასაც ვერაფრით ვეგუები და ვფიქრობ რომ ამგვარ ნახატებს უაზროდ ეწირება გაზეთის დიდი ფართი (*აღარ დავბეჭდოთ „იაპონური ნახატები?!*).

**„ფ" – ის თუ მოგწონთ, რომ „ფანტაზია" თითქმის ექსცენტრიული და ზოგჯერ გაუგებარი „რაღაც-რაღაცეებისადმი" იჩენს გარკვეულ ინტერესს?**

**მ.მ.** — სწორედ ეგ „რაღაც-რაღაცეები" მომწონს; თქვენს კროსვორდებს გემოვნებით შერჩეული „რაღაც-რაღაცეები" ნამდვილად ამშვენებენ.

**„ფ" — როგორი უნდა იყოს კროსვორდი — რთული, რომ წიგნებში ქექვა იყოს საჭირო, ადვილი, რომ კაცი გაერთოს, თუ იმის საშუალება, რომ მისი ამოხსნით რაიმე ჯილდო დაიმსახუროს...?**

**მ.მ.** — ყველას ყურს თუ უგდებთ, საქმე წინ ვერ წაიწევს; თქვენ თქვენი სტილი გაქვთ და ამით ხართ გამორჩეული.

**„ფ" — ...და მაინც რა არის კროსვორდი?**

**მ.მ.** — მე პირადად ამ უშუქობა-უმუშევრობა-უტელევიზორობაში „ფანტაზიამ" და მისმა კროსვორდებმა მიხსნეს გონების დახავსებისაგან.

**„ფ" — თქვენი საყვარელი რუბრიკები?**

**მ.მ.** — „ფანტაზიორი", „მალულა"... ძალიან მომეწონა ბორის ბურდას ჩანაწერები.

15.02.2000.

...ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ

ᲐᲛ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲨᲔ...ᲔᲒ ᲒᲐᲒᲕᲘᲩᲜᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ Ე.Წ. „ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲘᲡ" ᲛᲬᲝᲪᲐᲕᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲐᲤᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲬᲝᲪᲐᲕᲝᲑᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲒᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲔᲡ „ᲛᲬᲝᲪᲐᲕᲝᲑᲐ" ᲔᲮᲐᲛᲣᲨᲔᲑᲐ, ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲝᲜ ᲔᲠᲗ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ (*ხუტა უფროსისა არ იყოს – „გვარს არ დავასახელებთ!"*) ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ... ᲠᲝᲛᲚᲘᲡ „ᲛᲬᲝᲪᲐᲕᲝᲑᲐᲛᲐᲪ" ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲒᲐᲜᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲔᲠ ᲬᲐᲣᲮᲓᲘᲜᲐ ᲒᲣᲜᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ.

## „ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲔᲚᲔᲑᲘ"

(ᲛᲬᲝᲪᲐᲕᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲐᲤᲐ)

1. ᲘᲐ ᲙᲔᲠᲖᲐᲘᲐ (ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ)
2. ᲚᲘᲐᲜᲐ ᲙᲣᲡᲠᲐᲫᲔ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)
3. ᲜᲣᲙᲠᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ)
4. ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (ᲐᲑᲐᲠᲐ)

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲓᲘᲐᲜᲐ ᲡᲐᲓᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲒᲐᲕᲔᲪᲜᲝᲑᲘᲗ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲚᲔᲡ ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲬᲔᲕᲠᲡ,

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲜᲝᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲡ!

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲖᲣᲠᲘ ᲐᲛ ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲚᲐᲓ!



## მტაცებლები

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | შ | უ | ლ | უ | ა | ტ | ა | ნ | უ |
| | | | | | | ი | რ | პ | ს | ა | ი | ც | გ | ჯ |
| | | | | | | ლ | ი | ს | ქ | ე | ა | ტ | ლ | ა |
| ი | ი | რ | ო | ი | ი | პ | მ | ძ | ი | ე | ნ | ო | ე | ბ |
| ნ | კ | ვ | ი | ტ | ვ | რ | ო | მ | ხ | ბ | ი | რ | ბ | ო |
| რ | ა | წ | ზ | ე | ი | ე | ვ | ხ | ვ | ა | მ | ი | ი | ლ |
| მ | თ | ლ | ი | კ | წ | რ | მ | ს | ე | დ | რ | ე | ტ | ბ |
| ტ | ვ | ა | ც | ე | რ | ა | ი | რ | ჭ | ა | უ | ნ | დ | ო |
| ა | კ | ა | ი | ი | რ | ე | გ | ვ | ე | ლ | ო | ბ | ა | კ |
| ც | ა | ი | ა | ნ | ი | მ | ე | ა | ზ | ი | ნ | ა | მ | ლ |
| ი | ი | ნ | ა | მ | ო | ფ | ნ | ე | ო | ა | ჯ | ი | ო | ე |
| ნ | მ | ა | ნ | ი | ზ | ვ | ი | ც | ნ | ა | რ | ვ | ტ | პ |
| ა | ი | ვ | თ | ა | დ | ა | გ | რ | ა | ვ | ი | ა | შ | ვ |
| ც | ა | რ | ქ | ე | ქ | ი | ე | ნ | ი | შ | ტ | ი | ლ | ი |

**1**. მტაცებლების (ადამიანებზე მოგახსენებთ!) ქვეცნობიერად მამოძრავებელი „ინსტინქტი", რაც მიტაცებულის მითვისებაში გამოიხატება. **2**. მტაცებელთა (არა მარტო ადამიანებზე მოგახსენებთ!) ქმედების შედეგად აღძრული გრძნობა, რასაც ქრისტიანული მორალი არ იზიარებს. **3**. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტაცებელი პერსონაჟის გვარი. **4**. ერთ-ერთი თანამედროვე „მტაცებლური" პროფესია, ანუ მოდერნიზებული ყაჩაღობა. **5**. გრძნობა-თვისება, რომელიც მტაცებელსა და მის მიტაცებულს შორის არსებობს და რასაც გრძნობს მხოლოდ მიტაცებული. **6**. ქურდობა იგივე მტაცებლობაა (ჩვენი აზრით!)... ჰოდა, რა ჰქვია მას მეცნიერულ-პუბლიცისტურად? **7**. ჩვენი ფაუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მტაცებელი. **8**. როგორ უნდა მოვიხსენიოთ სუბიექტი, რომელიც მტაცებლის აგრესიის ობიექტი ხდება? **9**. მტაცებელი, რომლის სახელიც ერთ ძველ ქართულ(-„არაბული") ფილმის სათაურში დაფიქსირდა. **10**. მტაცებელთა საცხოვრებელი გარემო – ინდოეთში პირდაპირი გაგებით და ჩვენში გადატანითი მნიშვნელობით. **11**. მტაცებელი, რომელიც თავისი თანამზრახველებისაგან მხოლოდ ფრენის უნარით განირჩევა. **12**. ყველაზე ძლიერი და დაუნდობელი მტაცებელი დინოზავრთა შორის. **13**. მტაცებელთა ქმედების გამიზნული მომავალი, რაც მიტაცებულთა ჩაგვრას უკავშირდება. **14**. არსებობს ორი ფილმი საერთო სათაურით „მტაცებელი", ერთი მათგანი 1987 წელსაა გადაღებული და მასში ვან კლოდ ვან დამი მონაწილეობს... ვინ თამაშობს მთავარ როლს 1985 წლის ვერსიაში? **15**. ...და თუ კითხვა № 14 გაჭოიცანით, მისი პერსონაჟიც უნდა გაიხსენოთ იმავე სახელის ფილმიდან, რომელიც მომავალი ეპოქების მტაცებელთა ნიშანთვისებებს გვაცნობს. **16**. ყველაზე დიდი მტაცებლური ღონისძიება რელიგიის ისტორიაში. **17**. ნიანგთა ოჯახის მცირე ზომის მტაცებელი, რომელიც ძირითადად მდინარე ორინოკოს წყლებში ბინადრობს. **18**. წმინდა ქალური თვისება, რაც ჩვეულებრივი ქალისაგან ტიპიურად აგრესიულ და მტაცებელ არსებას ქმნის. **19**. მშვენიერი ქართული სიტყვა, რომელიც ორი სიტყვის კომპოზიტს წარმოადგენს და გვარწმუნებს იმაში, რომ მშვენიერებაც შეიძლება იყოს „მიტაცების" უნარით აღჭურვილი. **20**. ქართული ზღაპრული გმირი, რომელიც სულ მუსრს ავლებდა ყველანაირ ზღაპრულ მტაცებელს!

### IQ ᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ



